

გამოხდილების გაზიარება

აქ ათას ცხრაას თვრამეტი წლის მომხსრე ინტერვენტს
გამოცდილებას ეკითხება უოლსტრაიტელი,—

მას უკეთ ახსოვს ძლიერება ჩვენი არმიის,
ახსოვს, თუ როგორ აფრიალდა დროშა წითელი.

ნ ი ა ნ ბ ი



რედაქტორმა მორიგი ნომრისათვის მხატვრული მიმოხილვის დაწერა დაამთავრა.

— ხომ იცი, სათემბერვლო თემაზე უნდა მოიფიქრო, ეს ნომერი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღსა ხედება. — მითხრა მან და კალენდრის ფურცელზე ფანქრით „ჩიტი“ მოხაზა.

აბა, ასეთ საპატიო დავალებზე უარს ხომ არ ვეტყვი! ჩემი კარგი მეხსიერებით დაიმედებულმა ჟურნალის მთელი გვერდი დავიხვე.

მაგრამ წერას რომ შევუდექი, მივხვდი თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ამილია: ოცდახუთი თებერვალი საქართველოში. ოცდაათორმეტი წელი, მშენებლობა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების, ეკონომიკის, ხელოვნების, კულტურის აყვავება — აი, ზოგადი დებულებანი, რომელთა საფუძველზე უნდა ამეგო შემოქმედებითი შენობა — ესე იგი დავალებული ნარკვევი.

მარტო ამისი გათვალისწინება და შუბლზე ცივი ოფლის წვეთების ჩამოგორება ერთი იყო. საიდან გინდა დაიწყო, რომელი ერთი გინდა ახსენო და აღწერო, თუნდაც გაკვრით, დაახლოებით? საფეთქლებს ვისრესდი და მოუწოდებდი იმ შთამაგონებელ ასულს — პოეტები მუზას რომ უძახიან, მაგრამ ვერ იქნა, პირველი სტრიქონი ვერ გაჩნდა.

— კი მაგრამ შე კაი კაცო, ხომ დაგიწერია ამ თემაზე ოცჯერ, ოცდახუთჯერ მაინც? — ჩამფიქრულა ჩემმა შინაგანმა გულისხმამ, — გამოცდილება ხელში გაქვს, ადგილი და დაიწყე, დაიწყე ისე, როგორც დაიწყებდი მსგავს ფელეტონს, ესთქვათ, ამ ოცდაათი ოდენ წლის წინათ.

— შენ გაიხარე, — საყვედურით მივუგე მე, — მაშინ შედარებით ადვილი საქმე იყო ჩვენს მიღწევებზე ერთი მიმოხილვის დაწერა: გაიყვანდი პარალელს ძველი დროისა თუ მენშევიკების ბატონობის შედეგად გაპარტახებულ საქართველოსა და 1921 წლის თებერვლის შემდეგ აღორძინების გზაზე დამდგარ საბჭოთა საქართველოს შორის, დაასახელებდი, ესთქვათ, ზაპესს, ალაზნის არხს, ზოგიერთ სხვა არხს, გზას, ხიდსა თუ შენობას, ბაღებსა თუ ახალ ქუჩებს, გამოიტანდი დასკვნას და ნარკვევიც მზად იყო!

— კეთილი დაპატიოსანი, — შემეკამათა ისევ შინაგანი გულისხმამ, — ეს, ასე ესთქვათ, დიდი გაქანების მხოლოდ დასაწყისი იყო, ერთგვარი სტარტი, მაგრამ ეს გაქანება ხომ მაინც შენს თვალწინ დაიწყო, შენს თვალწინ შეისხა ხორცი, გაიზარდა და მწვერვალზე ავიდა!

— მეც მანდა ვარ, ჩემო კეთილო! ეს ისეთი გაქანება და ხორც-შესხმა იყო, რომ კაცის ყოველგვარ წლოვანებას უსწრებდა, გონების თვალის არეში არ ეტეოდა და მეხსიერების „საცავებს“ სცილდებოდა. ერთგვარი მხატვრული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამ ზრდის შესახებ თვით ეპოქა სწერდა ტომებს, სწერდა პოემებად, სიმფონიებად, სიმღერებად, და უთვალავი ფერებით ნახატ ტილოებს ფენდა ჩვენს თვალწინ.

— შენ პირს შაქარი, — ჩამოპართვა ისევ სიტყვა ჯიუტმა გულისხმამ, — ადგილი და გადაფურცლე ეს ტომები, შტრიხები აიღე და მოკლე ხაზმოსმით დახატე ამ დიდი წინსვლის სურათები, როგორც ამას იზამდი, ესთქვათ, ოციოდენ წლის წინათ!

— რა ყმაწვილი ხარ! — შევესიტყვე ისევ მე, — მაშინ, შე კაი ადამიანო, ქალაქად ინდუსტრიალიზაცია ახლად ვაქცავდებოდა და სოფლად კოლექტივიზაცია ის-ის იყო ფეხს იდგამდა. მაშინ კოლხეთის ნაჭაობარებში დაბადებულ ახალ მიწაზე პირველად ოქროსაფერადებოდა ნარინჯოვანთა ხომლები, ჩაის ზურმუხტი ტალღები ახლად იწყებდნენ ლელვას, ტრაქტორები და კომბაინები პირველად შედიოდნენ თავთულების ზღვებში, ვენახები ახლად იპყრობდნენ ზეგნებსა და ფერდობებს, ქალაქების ახალი მწკრივები დგებოდა, ცა ახლად იბოლებოდა ქართული ფაბრიკა-ქარხნების კვამლით და ასე, ახლად ასე, სულ ახალ და ახალ სანახაობებს ბადებდნენ ხუთწლედები!

— ეგ კარგად სთქვი, სწორედ პოეტურად გამოვივიდა მთაყოფე და ასე განაგრძე, — წამაქეზა ჩემმა „მოსაუბრემ“.

— რა გიჭირს, ადვილი სათქმელია „მთაყოფე“, — მე კი რაც ესთქვი, მხოლოდ დასაწყისის ნაწილია. ხომ არც კი დამისახელებია,

ესთქვათ, ჩვენი ჰესები, მაგალითად ხრამჭისი, ალაზნისი, რიონჭისი, იორაჭისი, ცხენისწყალჭისი, აჭყისი, აბჭისი, ორთაქალჭისი და ყოველგვარ მდინარეჭისი, რაც კი საქართველოს მთა და ბარად ოდიფე არსებობდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აზრადაც კი არ მოსვლიათ — სინათლედ დაენერგიალ ქვეყლიყო, ქვეყნის შენებისა და მშენების სამსახურში ჩამდგარიყო. ახლა კი, აბა, მოთვალე, თუ კაიბიტი ხარ!

— თავს ტყუილად იკატუნებ, ჩემო კარგო, — კვლავ შევესიტყვა ჩემი მოსაუბრე, — კოჭებში გატყობ, მაგ შტრიხებში შეგიძლიან შედმიწვევით მაინც გადმოსცე ნაკისრი თემა, მოკლედ აღწუხხო საქართველოს წინების და დამშვენების პატარა სურათი ამ სანახევარი ათეული წლის განმავლობაში. მე ვამბობ — შედმიწვევით-მეთქი, თორემ, რაღა თქმა უნდა, ვიცი, ერთ კაცს, უფრო ვრცლად ეს დიხაჯ გაუჭირდება!

— ერთ კაცს? ერთ კაცს გი არა, თაობას, მემბატანეთა თაობასაც გაუჭირდება. ეს ხომ დიდი სიმღერის საგანია, დიდი პოეზიის თემა, საუკუნეთა კანტატაა!

— უჰხ! მაგ გამოთქმას ვინაცვალე! კანტატა, დიხა, დიხა, სწორედ კანტატა! აი, უკვე გამონახე ფორმულა, რომელიც აშკარად დაგეხმარება!

აქ პატარა პაუზა გაკეთდა ჩემსა და ჩემს მოსაუბრეს შორის, მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ამ ჯიუტმა შინაგანმა გულისხმამ მართლაც ყოყმანში ჩამაგდო, თითქმის დამიყოლია და უკვე ფიქრი დავიწყე.

რა გამომივიდოდა, მართლაც ასეთი პოეტური მაგალითებით რომ დამეწყო, თუ რა დიად წარმატებებს მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ ამ ოცდაათორმეტი წლის მანძილზე, როგორ ამიღლდა და აღორძინდა ის ამ ხნის განმავლობაში?

აი, მაგალითად, რომ დავასახელო დიდი მეტალურგიული ქალაქის — რუსთავის დაბადება, ავწერო თუ როგორ მოსჩქევს მისი მარტენებიდან ფოლადის ჩანჩქერები, როგორ იზრდება და ჩუქურთამებში ჯდება გუმბინდელ ხრიოკზე ლარივით გაბმული მისი პროსპექტები — ეს ხომ მკრთალი შტრიხი არ იქნება ჩვენი საყვარელი დედაქალაქის ამ ახალგაზრდა მეზობლისა?


რომ ვცადო სამგორის პეიზაჟის მოხაზვა, წარმოვიდგინო მის გარშემო თვალწინდელი წალკოტი, რომელიც გეოგრაფიულად ცხრდის კახეთს თავისი ბარაქიანი ზერებითა და ბაღებით, ყანების ზღვებითა და დოვლათით — ეს ხომ ნაასალიც არ იქნება იმისი, რაც შემდეგი თებერვლისათვის უნდა წამოიმართოს ივრისა და ალაზნის სანაპიროებზე?

რომ გადმოვიხივლო თბილისში, მლაშე ტბების გორაკიდან ჯერ თბილისის ზღვის მოლივლივე ტალღები დავინახო, იქიდან დედაქალაქს გადმოვხედო, მის ახალ პროსპექტებს, ხარაჩოვში ჩამჯღღაღო უთვალავ მშენებლობებს, სანაპიროს გასწვრივ სიმწვანეში აციმციმებულ ჩირაღდნებს თვალს გაეყაყო — ორთაქალჭისის, სტალინების, ახალი ხიდების, სასახლეების მშენებლობას გაეხედო და ესთქვა — აი, ასე და ასე ლამაზდება დედაქალაქი-მეთქი, — განა ეს ოდნავად მაინც ასახავდა მშენებლობის იმ უდიდეს სიმფონიას, რაც ჩვენ ყოველ დღე, ყოველ წამს აღგვაფრთოვანებს და გვაამაყებს?

რომ თვალს გადავავლო ჩვენი ქვეყნის უთვალავ სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებს, თეატრებსა და აკადემიებს, მის ბარაქიან ველებს და ზერებს, ახალ ბაღებსა და პლანტაციებს, ახლად დაბადების პროცესში მყოფ გორს გავცადე, ახლა უკვე ნამდვილად სავარდო და სამისო ინდუსტრიულ ქუთაისში ქართული ავტომობილის კონვეიერებს ჩავუარო, ჩვენი კურორტების, სანატორიუმების თვალისმომჭროდ შენობებს დავხედო, ყველგან ჩუქურთმა და მარმარილო, ყველგან შუქი და ბაღების შრიალი მოვიხილო, ქალაქად ქარხნების გრიალი, სოფლად ტრაქტორებისა და კომბაინების გუგუნე მოვისმინო, ყველგან ახალი დოვლათი და ბარაქა ვნახო და ჩვენი ქვეყნის ძლევაპოსილების, სიმდიდრისა და სიხარულის ამ ფონზე ყური მივაპყრო ხალხის ბედნიერ სიმღერას — განა მის მკრთალად ასახვას მაინც შევძლებდი ერთბაშად?

არა, გეთაყვა, ეს თემა კი არა თემების დიდი სიმფონიაა, ოკეანეა!..

და ამ ლირიკული ჩაფიქრებიდან გამორკვევის შემდეგ ჩემს რედაქტორს მოკრძალებული უარი მოვასხენე.



საბჭოთა არმიის გამარჯვებითა ისტორიიდან

მარჯობა, სულა მარჯობა!

— რა ჩემ ცოდვას აკეთებენ იატაკქვეშ? იატაკქვეშ მუშაობა რა ქალის საქმეაო, — დარდობდა დარო, — კმარი ორთავიან არწივთან ბრძოლას შეეწირა, ერთადერთი ქალიშვილი დამარჩა თამარი და ახლა ესეც „ეორდანი-რამიშვილის“ მთავრობას ქვევიდან ცეცხლს უნთებს“, ამათი სახსენებელიც კოლხაკ-კერენსკის სახელთან ერთად უნდა დაიწვას, გადაიბუგოსო...

საბედნიეროდ ხანმოკლე აღმოჩნდა მოხუცი დედის მწუხარება — „ეორდანი-რამიშვილი“ ჩვენი ქვეყნის კირი წაიღო, — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა! დარო ვაშას ძახილით შეხვდა გამარჯვებულ „იატაკქვეშელებს“. მისი თამარიც სიმღერით და წითელი დროშის ფრიალით ამოვიდა იატაკქვეშეთიდან. ამ დიდ სიხარულს ხუთიოდე წლის წინათ დაკარგული თედოს ვამოჩენაც დაერთო. იგი ჩაჩქანთან რაინდს ჰგავდა თავისი წვეტიან-ლალი ქუდით. შემოვიდა ოჯახში და წითელარმიელური ხალისი და ბრწყინვალეობა შემოიტანა.

— რაღა მიჭირს, ჩემს ბედს ძალი აღარ დაჰყვებს, სასიძოც ბედად ჩამომივიდა, ქალიშვილს დავაქორწინებ და დავისვენებ, — ამბობდა დარო, თუმცა გულს დარდი მაინც უღრღნიდა:

— ვაითუ თედომ გაიგო თამროს იატაკქვეშ მუშაობის ამბავი და დაიწუნა! ვაითუ იფიქროს — იატაკქვეშ ნამალევი ქალი რად მინდაო!.. — მაგრამ სწორედ ეს მოიწონა თედომ, ბარაქალაო, უთხრა და დაროს დარდიან გულს ვარდი მოათენა, დატრიალდა და ჩო, ისეთი ქორწილი გადაიხადა, ცას წვედებოდა კრიმინალური, სანაქებოზე სანაქებო მზითვიც მისცა ქალიშვილს. კამოდი და სამოვარიც არ დააკლო.

— მეღირსა, დავისვენეო, — ამბობდა დარო, მაგრამ ვინ მოასვენა!

— თედო თბილისში გადაჰყავთ, — უთხრა ერთ დღეს თამრომ დაროს და გულზე ცეცხლი წაუკიდა.

— ფეხსაც არ მოვიცვლი, აქ ვმობილვარ, აქ ვავზრდილვარ, სულიც აქ უნდა დავლიო! — შესძახა დარომ თამროს, მაგრამ სიძე-ქალიშვილს მაინც ვერ შეელოა.

დიდი ხნის ფუსფუსის და ბარგის ვახსნა-დალაგების შემდეგ, დარომ თბილისის ბინაც მყუდროდ მოაწყო.

— ახლა დაჯექი, სიძე-ქალიშვილთან მიირთვი შემწვარ-მოხრაკულები და ისიამტკბილე! — ეუბნებოდა სახემღმირი დარო თავის თავს.

მაგრამ დაროს სიამტკბილობას რამდენი მწარე ვაერია, ვინ მოსთვლის. ჯერ თედო და თამრო სტუდენტები გახდნენ, შემდეგ პატივცემული ინჟინრები და სამი შვილის დედ-მამა.

კეთილი და პატიოსანი, იტყვის მკითხველი, რა სიმწარეს ხედავთ აქო? მაგრამ მოდი და ნუ გამწარდები, როცა შენ მყუდრო სახლის წინ ახმახი ხარაჩოებში ჩამდგარი შენობა აიშრატება. მაგრამ ვინ დაეწყევლა! იმ შენობის მშენებელი ხომ მისი თამრო იყო!

ბინის დაბნელებას ვინლა ჩოდა.

— ნეტავი „იატაკქვეშ“ მომუშავე დარჩენილიყო, მალღიდან ჩამოვარდნისა და დამსხვრევის შიში მაინც არ მექნებოდაო, — წუწუნებდა დარო და ხარაჩოებზე მოსიარულე თამროს გულის კანკალით შესცქეროდა. კიდევ კარგი, რომ თედოს არ ხედავდა, იმას ხომ უფრო მალა მთის მწვერვალებზე ჰქონდა სანუშაო გამართული და გზები ვაჰყავდა ხევსურეთში და სხვა მიუვალ ადგილებში, სადღაც შორს სვანეთში. შვილიშვილებს კი ნუ იკითხავთ, ისინი შშობლებზე უფრო ახირებული ხასიათისა აღმოჩნდნენ.

— მოდით „ტაშვირგვინა“ გათამაშოთ! — შესთავაზებდა დარო.

— რად გვინდა „ტაშვირგვინა“? — ამბობდნენ ბავშვები და სილაში ფაბრიკა-ქარხნებს აშეებდნენ.

— დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე. — ბუტბუტებდა დარო. — ან რად უნდათ ამდენი ქარხანა. ერთი ადელხანოვის ქარხანა იყო თბილისში თურმე და იყენებ ყველანი მოსვენებულად!

დრომ შეუმჩნევლად გაირობინა და როცა დარომ ახმახი შენობა ხარაჩოებშემოცლილი დაინახა, გულახდელიად უნდა ითქვას, მოეწონა, ძალიან მოეწონა! მაგრამ თამროს სიტყვები რატომღაც აღარ მოეწონა:

— ხვალ ამ ახალ სახლში გადავიდვართ, მეექვსე სართულზე მოგვცეს ბინაო!

— ფეხსაც არ მოვიცვლი, რა მინდა იმ თავბრულამსხმელ სიმაღლეზე, იქ კი არა, პანტა-მსხალზე რომ ავლიოდი, გული ძაფზე მეკიდოაო! — შესძახა დარომ, მაგრამ სიძე-ქალიშვილს მაინც ვერ შეელოა, თანაც ძველ სახლს დასანგრევად მოადგნენ.

დაიწყო დარომ გადასასვლელად მზადება. კამოდს და კარადას ტომრები შემოაკრა, გადატანისას არ დაიფხაუნოსო.

საკუჭნაოში შეიხედა — ხომ არაფერი მრჩებოა. აქაც ბოლბო მოაწვა მის გულს. ოჰ, რა საწყლად იდგნენ დაროს ნაშთი თვი სამოვარი, ნახშირის უთო და ნავთქურა. ძველი ზღაპრების წიგნიც აქ ეგდო. ისიც ხომ ძველ ნივთებს მიაყოლეს თედომ და თამრომ.

— რად უნდა ჩვენს შვილებს ალქაჯებზე და კუდიანებზე მიეთ-მოეთითო. კუდიან ნივთებს კი ძალიან ეტანებიან! — წაიბურღუნა დარომ და კულდამობმულ ელექტრონის უთო-ჩაიდან-ფილაქურას დამცინავად გახედა და საკუჭნაოს კარი მიიკეტა.

— ჩქარა, დედა, აბა, ჩქარა, გადავიდვართ! — შესძახა თამრომ და მუშებს კობტად შეკრულ ქვეშაგებელზე ანიშნა: — აიტანეთო.

— ჯერ კამოდი და კარადა კარგად აიტანონ! — თქვა დარომ და მუშებს წინ გადაუდგა.

— კამოდს და კარადას ახალ ბინაში რა უნდა? ისეთი ავეჯი დავამზადებინეთ ქარხანას, რომ თვალს მოგტაცებს. აი, ნახავ, თედომ უკვე გადმოიტანა! — უთხრა თამრომ და გულზე ერთხელ კიდევ წაუკიდა ცეცხლი. დაიწუნეს ჩემი სანაქებო მზითვი, ჩქარა მეც დამიწუნებენ — მოძველიო მეტყვიან. — ფიქრობდა დარო და ახალ სახლისკენ უხალისოდ მიიბიჯებდა.

წამში ააფრინა ლიტტმა დარო მეექვსე სართულზე. ვახალი-სა ახალმა ბინამ და ბინის მორთულობამ ხომ გულზე ვარდი მოჰფინა.

— დაჯექი, დარო, მიირთვი შემწვარ-მოხრაკულები და ამ მალღი ბანიდან გადმოხედვით დასტკბიო, — უთხრა დარომ თავის თავს, თამროს კი ასე წასჩურჩულა:

— მალღობა ღმერთს, ახლა დაისვენებ, სახლის შენებას მორჩი!

— მოვრჩი რომელია, ხვალღიდან ახალ მშენებლობაზე გადავიდვართ! — შესძახა თამრომ, — რა მოვივიდა, დედა, განა მხოლოდ ჩვენ ვაშენებთ? ჩვენისთანები ათასებია. ყველა დედამ რომ შენებო თავი-მოიკლას, მშენებელთა დედები ხომ მთილად გადაშენდებიან? — სიცილით მოგხვია თამრო მოხუც დედამ.

გაიზრდებიან, მოესწვებიან შვილიშვილები. ესენი მაინც მომასვენებენო, — ამის ნუგეშით ცხოვრობდა დარო, მაგრამ ჯერ უფროსმა, შემდეგ მომდევნომ უმალღესი დაამთავრეს და დაროს ახარეს: ჩვენ ცათამბჯენები უნდა ვაშენოთ, განა ასეთი კოლოფებიო, და დედის მიერ ნაშენებ სახლს ცხვარი აუბუზუს.

— ეს რა მესმის, თქვენი ჰირიმე! სად გლიოთ ცათამბჯენზე ან ფიქრებზე, ან ამ მოხუცი ფეხებზეო! — შესძახა დარომ და იმედი ნათელავდ გადაიტანა. წყნარია, ფუნჩულა, ეს მაინც დამასვენებსო.

— შენც სახლები არ ააშენო! — ეუბნებოდა დროგამოშვებით და ნათელას სიტყვებიც დაროს გულს ია-ვარდს ჰტენდნენ.

— მშენებელი რას მიქვია, მშენებელი რააო! — ამბობდა ნათელა და დაროს უღიმოდა.

ელირსა ბოლოს, და აი, მოხუცი უმალღესდამთავრებულ ნათელას მოესწრო.

— მომილოცე, მფრინავი ვარ, ცაზე ვარსკვლავებს დაგიკრეფ! — ახარა ერთ დღეს ნათელამ დაროს და ტაში შემოჰკრა.

— მფრინავი? — შესძახა დარომ შემკრთალი ხმით და სავარძელში ჩაიკეცა.

ვერ იქნა და ვერ მოისვენა მოუსვენარი შვილების დედამ და შვილიშვილების დიდედამ... სიმაღლე — სიმაღლეს სცვლიდა. ყოველი წელიწადი საღებურით მალღა მიაფრენდა დაროს დიდ ოჯახს. ყოველ წელიწადს გამარჯვება მოჰქონდა „იატაკქვეშეთიდან“ დაწვებული — ვარსკვლავებამდე. ირგვლივ კი ისევ ჩქელდა ცხოვრება. კაშკაშებდნენ კაშხალები, ღელავდა თბილისის ზღვა, ბინებდა სამგორის ველი და გაცსქეროდნენ თბილისის ცათამბჯენები მტრედისფერ ცას, ხარობდნენ თავისუფლად მონავარდე თვითმფრინავთა გუგუნით...

სოლომონების გვარში საკუთარი გვარის მნიშვნელობის ახსნაზე, ალბათ, არავის უფიქრია. ეს აზრი დაებადა მხოლოდ მუშათა ორგანიზებული შეგროვების რესპუბლიკური კანტორის უფროსს გიორგი სოლომონიას.

— საიდან უნდა წარმოდგებოდეს ჩემი გვარი? — დაუსვა ერთხელ კითხვა თავის თავს ხსენებული კანტორის უფროსმა გიორგი სოლომონიამ, და, რაკი ძირი ქართულში ვერ აღმოაჩინა, ასე დაასკვნა — „სოლო“ იტალიური სიტყვაა და „ერთს“, „ერთადერთს“ ნიშნავს. „მონო“ ბერძულია და იმასვე გამოხატავს, რასაც იტალიურად „სოლო“.

შემდეგ რატომღაც „სოლო“ „მონოზე“ გაამრავლა გიორგიმ, პირველად კინაღამ შეფიქრებინდა: „ერთჯერ ერთი მაინც ერთიაო“, მაგრამ მალე კიდევაც გაუხარდა, რომ „ერთადერთს“ როცა კვლავ „ერთადერთით“ ხაზი გაესმის — „განსაკუთრებულის“ მნიშვნელობას ღებულაბს.

სიტყვა „განსაკუთრებული“ ძალზე ეჭაშნიკა გიორგი სოლომონიას, თავში ჩაუჯდა და ყოველგვარი მოვლენისადმი განსაკუთრებული შეხედულება გამოუშუშავა.

— მე ერთადერთი ვარ, ეს კანტორა ჩემია! — რიხით განაცხადა მან და „საქმიანობას“ შეუდგა.

მუშათა ორგანიზებული შეგროვების რესპუბლიკური კანტორის უფროსმა გიორგი სოლომონიამ ხსენებულ კანტორაში დავის მოღვაწეობა მუშაკთა „ორგანიზებული“ შეგროვებით დაიწყო: კანტორის ინსპექტორად თავისი რძალი ამალია ფანცულაია მოიწვია, ინსპექტორის ადგილი — გარეუბნის რაიონში, თავის ძმისწულს აგრაფინა სოლომონიას უბოძა, ხოლო მუშათა ორგანიზებული შეგროვების რწმუნებულად დასვა პასუხისგებაში ნამყოფი, პარტიიდან გარიცხული თავისი ქვისლი პორფილე მონიავა. დასვა რწმუნებულად გიორგიმ თავისი ქვისლი და იმას ანგარიში არ გაუწია, ადრე სად იჯდა იგი.

გიორგი სოლომონიას საშტატო ერთეულების გაფორმება-გამოყენებაზედაც განსაკუთრებული შეხედულება აქვს. პრივალივიზის ქალი წალკის რაიონის ინსპექტორად ყავს გაფორმებული. ხსენებულმა პრივალივიზმა გეოგრაფიულ რუკაზეც კი არ იცის სად მდებარეობს წალკის რაიონი და თბილად ზის თბილისში, კანტორის ბუხპალტერიაში.

განსაკუთრებული „განსაკუთრებულება“ კი სოლომონიამ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში გამოიჩინა.

გამოიტანდა მივლინებისათვის კანტორის სალაროდან საქვეყნარიშო თანხას გიორგი, ჩაიდებდა ჯიბეში და გზას გაუდგებოდა. მივლინებულს ფული თან ბლომად მიქონდა, რადგან ხელმოკლეობის სასტიკი წინააღმდეგი იყო. რაკი სახელმწიფო და საკუთარი თუმნიანი ერთიმეორეს ძალიან ჰგავდა, ფულის ხარჯვაში ანგარიში ერეოდა სოლომონიას. ამის გამო ხერხს მიმართა: წელზე ძველებური ფარაგი*) შემოიკრა და ფარაგში სახელმწიფო თანხა მოათავსა. ამოიღებდა ფარაგიდან ასმანეთიანს გიორგი სოლომონია, დახარჯავდა დაწესებულების საქმეზე ათ მანეთს და თავის თავს ჰკითხავდა:

— რა ვუყოთ ხურდას, ჩემო გიორგი?



გიორგი სოლომონიას გოგია (იგივე გიორგი) სოლომონია უპასუხებდა:

— აგრე ნუ დახურდავდები, ჩემო გიორგი, რალაც ხურდის დაბრუნება როგორ უნდა შეკადრო სახელმწიფოს, ჩაიდე საკუთარ ჯიბეში და ასეთმა ხურდებმა თუ თავი ბლომად მოიყარა, მერე გასწორდებით.

ასეთმა განსაკუთრებულმა „ანგარიშსწორებამ“ გიორგის ტანსაცმელზე რამდენიმე ჯიბე-სალარო გააჩინა. შარვლის მარცხენა ჯიბე გიორგი სოლომონიას ეკუთვნოდა, მარჯვენა — გოგია (იგივე გიორგი) სოლომონიას. პიჯაკის ორივე ჯიბეში ჟორა (იგივე გიორგი) სოლომონიას ფული იყო მოთავსებული, ფარაგში კი სახელმწიფო თანხა ეკეცა.

დაჭირდებოდა კურორტის საგზური სოლომონიას მეუღლეს და ქმარს უსაყვედურებდა: „სხვის ცოლებს შენი ცოლი რატომ

უნდა ჩამორჩესო“. გიორგი საკუთარ ჯიბეში ფულს მოისინჯავდა და ცოლს ეტყოდა:

— არ მაქვს, ჭირიმე, და რა ვქნა?

— შენ და ფული არ გაქვს! როგორ გეკადრება, ჩემო გიორგი!

წაქეზებული ქმარი ფარაგში გადაყოფდა ხელს და მეუღლის სურვილი სასწრაფოდ ასრულდებოდა.

ასე ადვილად მიაგნო იოლი ცხოვრების გზას რესპუბლიკური კანტორის უფროსმა.

კრიტიკაზე და თვითკრიტიკაზეც განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდა გიორგის.

შევიდოდა მასთან რომელიმე მუშაკი და მიმართავდა:

— უხერხულობას იწვევს, ამხანაგო გიორგი, ჩვენს კანტორაში თქვენი ნათესაების თავმოყრა, მიიღეთ ზომები.

— კანტორაც ჩემია და ნათესაებებიც, შენ ვისი ტიკიტომარა ხარ, რომ უფროსის საქმეებში ერევი?! — განრისხდებოდა უფროსი.

სამაგიეროდ მან კრიტიკის განსაკუთრებული სახე — ფიქრკრიტიკა შემოიღო;

„ჟორა“ სოლომონია გიორგი სოლომონიას შეესიტყვებოდა ყასიდად:

— ბიჭო, გიორგი, სახელმწიფო თანხებს რომ ასე ეპყრობი, ეს ხომ გაფლანგვას ნიშნავს.

გიორგი კი „ჟორას“ უსიტყვოდ უპასუხებდა:

— რა არის, ბიძიკო, გაფლანგვა, ფულს ვხარჯავ, სახელმწიფო მალაზიაში რალაცას ვყიდულობ, სახელმწიფოს ფული ისევ სახელმწიფო სალაროში შედის, სავაჭრო, სახელმწიფო ორგანიზაციას გეგმის შესრულებაში ვეხმარები და შენ ამ სასიკეთო საქმეს გაფლანგვას უძახი?!
ასეთი განსაკუთრებული შეხედულებების მქონე გიორგი სოლომონიას „სოლო“ ამღერეს, „თავო ჩემო“ შეასრულებინეს. ამას გარდა „სოლოს“ და „მონოს“ ლინგვისტიკაზეც ხელი ააღებინეს, რადგან უამისოდაც საკმაოდ შეარცხვინა თავისი გვარი.

*) ფარაგი — წელთ სარტყამი ჯიბიანი ჩასადებელი.



ნან. ღონისა

— რას მოგვადეკი გულის წყრომით, ნუთუ ხიმღერა ჩვენს ქალაქშიაც არ შეიძლება? აქაც ხომ თბილისის ქუჩა არ არის!..

ნან. გ. ფირცხალავასი

გულვივი ლუკვი



ღიასხლისი:

— ხედავთ, პერიდან წყალი ჩამოდის, თქვენ კი თვეობით უნდა გეძიოთ.

სახლმმართველი:

— ვუცდი, როდესაც ღვინო ჩამოვა— დასახურავად მაშინ გეწვით.

ღელი-ოღილაგაჰი

ნან. ნ. მაღაზონიასი

ქველზე იხნო



ამ ნაგვით ხავხე ხის ქვეშ, უთუოდ დიდხანს უცდიდა გივი ციცინოს, და, უტყუარი კვალი დასტოვა ციცინოს ეჭვი რომ აიცილოს.

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ქ ი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1953 წ. 2/III. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. 550 № გამოც. № 4. ტირ.15.000. უე 02298.



ყვეს არ ჰქონლა. სვეს ბეჰქონლა

— მისტერ ჯონ-ბულ, ახალი კონტინგენტი გეხლათ დახახმარებლად... ჰამაში.